ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

1921

31 აგვისტო შაბათი 1991

№ 100-101 (11733—34)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 20 კაპ.





მანანა ხუარიძე-ამირეჯიბის პლაკატი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

### საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ

საბჭოთა კავშირში ამა წლის 19-21 აგვისტოს კომუნისტური პუტჩის დღეებში საქართველოს კომპარტიამ მხარი დაუჭირა ე. წ. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტს. გარდა ამისა, მისი არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.

აქედან გამომდინარე ვადგენ:

შეჩერდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მოქმედება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**

†

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია ღრმა „მწუხარებით" იუწყება, რომ ხანგრძლივი, 70-წლიანი უკურნებელი დაავადების შემდეგ, როგორც იქნა, გარდაიცვალნენ

**საბჭოთა კავშირის კომპარტია**

**და**

**საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი კომპარტია.**

პანაშვიდი ყოველდღე, პირველი ელდის გადავლამდე.

დაკრძალვა კომუნიზმის ჭურ კიდევ ერთგულ მოიმედეთა გულებში.

# ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი

**ბესარიონ** პაატას ძე გუგუშვილი ეროვნებით ქართველია.

დაიბადა 1945 წლის 6 მაისს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ოჯახში.

1962-1963 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, 1963-1967 წლებში თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის, თურქეთის ისტორიის სპეციალობით.

1967-1970 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე სპეციალობით — საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. 1967-1970 წლებში სწავლობდა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1971 წელს დაიცვა დისერტაცია მრეწველობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1971-1973 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად. 1973 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში, ჯერ ეკონომიკის განყოფილების გამგედ, შემდეგ ამ ცენტრის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის დისციპლინებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ეკონომიკისა და ინფორმატიკის დარგებში. არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საქართველოს ავტომატიზებული სისტემის მთავარი კონსტრუქტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპიუტერიზაციის სამეცნიერო საბჭოს წევრი.



1990 წლის დეკემბრიდან მუშაობდა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ, სახელმწიფო კინოკორპორაციის პრეზიდენტად.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

# ქრონიკა

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ:**

**ზურაბ ხარისჩარიშვილი** — ახალციხის რაიონის პრეფექტად;

**ბელა ბიბაური** — ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პრეფექტად;

**ლევან თოთაძე** — ქ. თბილისის სამგორის რაიონის პრეფექტად;

**ვახტანგ ჭანტურია** — ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის პრეფექტად;

**დავით ქობალია** — ქ. თბილისის კრწანისის რაიონის პრეფექტად;

**თამაზ გამყრელიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად;

●

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით განთავისუფლდნენ:**

**მამა თევდორე (თამაზ ამბროლაძე)** — ახალციხის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან;

**ნინო მირიანაშვილი** — კასპის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან;

**ნოდარ ამაღლობელი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო შინაგანი ჯარი — ეროვნული გვარდია დაექვემდებარა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

●

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიულოცეს ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდოვასა და უკრაინის რესპუბლიკებს, მათს ხალხს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ცნეს ამ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გამოთქვეს სურვილი, რომ დაიწყონ მოლაპარაკება დიპლო-

# ინფორმაცია

მატიური ურთიერთობების დასამყარებლად.

●

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე გაგრძელდა კომენდანტის საათის მოქმედება ამა წლის 28 აგვისტოდან ერთი თვის ვადით. კომენდანტის საათის ხანგრძლივობა განისაზღვრა 22.00-დან 7.00 საათამდე.

●

სსრკ უზენაესი საბჭოს 24 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად შექმნილმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ოპერატიული მართვის კომიტეტმა, რომლის ხელმძღვანელია ი. სილაევი, თავის შემადგენლობაში შეიყვანა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი გ. აბდუშელიშვილი.

# საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის განცხადება

1991 წლის 2 სექტემბერს 11.00 საათზე (თბილისი, თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. № 2, მე-3 სართული, ოთახი 32) გაიმართება საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელთა შეკრება, სადაც განხილული იქნება პროფკავშირული მოძრაობის აქტუალური, მწვავე საკითხები.

დაინტერესებულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს გთხოვთ, მოგვაწოდოთ წინადადებები.

საკონტაქტო ტელეფონი: 93-69-74, 37-10-69.

**საორგანიზაციო ჯგუფის სახელით პაატა ქურციკიძე.**

# ჩვენი პოზიცია

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენებს სამართლიანი პოლიტიკური შეფასება მისცა ქართველმა ხალხმა, არსებითად სრულიად საქართველომ, რომ იგი იყო დემოკრატიის დამხობის, დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის დამკვიდრების მცდელობა.

დემოკრატიაზე თავდასხმა რომ მზადდებოდა, ამას მიმდინარე წლის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირული ანალიზიც კი ადასტურებს. ამას ადასტურებს საქართველოსადმი დამოკიდებულება მთელი რიგი ე. წ. საკავშირო ორგანოების ხელმძღვანელობის მხრივ.

ამის თაობაზე არაერთგზის გააკეთეს განცხადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, ჯგუფებმა, მოძრაობებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა (საქართველოს კომპარტიიდან) შევიმუშავეთ წინადადებები და 21 ივნისს წარვუდგინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

**მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ჩვენს მიერ წარდგენილი დოკუმენტიდან: „იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკა ჯერჯერობით ფაქტობრივად იმყოფება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, უარყოფით დამოკიდებულებას გამოვხატავთ იმ უაღრესად კრიზისული და კრიტიკული სიტუაციის გამო, რომელიც დღეს მთელს კავშირშია შექმნილი: „გარდაქმნისა" და „საჯაროობის" მეშვიდე წლისთავზე „ცენტრში" ძლიერდებიან ანტიდემოკრატიული ძალები, ტოტალიტარული რეჟიმის მომხრენი, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ ისტორიულად კანონზომიერ პროცესს — საბჭოთა იმპერიის დაშლას, სუვერენულ სახელმწიფოთა შექმნას.**

**ასეთ სიტუაციაში — ვამბობდით 28 ივლისს გამოქვეყნებულ წერილში — სკკპ ცენტრალური კომიტეტი არათუ წინ აღუდგა ამ უარყოფით პროცესებსა და ტენდენციებს, არამედ ანტიდემოკრატიული პროცესების სათავეში დადგა. სკკპ რიგებიდან დემოკრატიული ძალების გასვლამ მის საქმიანობას რეაქციული ხასიათი მისცა. ამის კონკრეტული გამოხატულებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის სტატუსის შესახებ საკითხის განხილვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე მოვლენებისადმი.**

**მივიჩნევთ რა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნათა შემაჩერებელ ფაქტორად, ვადასტურებთ პოზიციას, რომელიც საქართველოს დელეგაციამ წარუდგინა სკკპ XXVIII ყრილობას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოკავშირე რესპუბლიკათა და სახელმწიფოთა კომპარტიებად დაშლის მიზანშეწონილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაუქმების თაობაზე".**

ეს იყო ჩვენს მიერ გაცხადებული პოზიცია 1991 წლის 21 ივნისს, რომელსაც მხარს უჭერდა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს კომპარტიიდან. მკითხველისათვის მიგვინდია იმის გარკვევა, თუ რა ბედი ელოდა ამ დოკუმენტზე ხელმომწერთა და მის მხარდამჭერთ კომუნისტური პუტჩის გამარჯვების შემთხვევაში, მით უფრო, რომ ჩვენი ასეთი პოზიცია საპასუხო რეაქცია იყო ანტისახელმწიფოებრივი პუტჩის ერთ-ერთი ორგანიზატორის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბაკლანოვის საქართველოში ჩამოსვლისა და ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობასთან, მის გენერალიტეტთან შეხვედრაზე. **მით უფრო, რომ ჩვენი ასეთი პოზიცია ვაცნობეთ** სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ოფიციალურად და მისი წარმომადგენლის რომანოვის მეშვეობითაც, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ესწრებოდა. ჩვენი პოზიცია იმავე დღეებში ცნობილი გახდა ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებისათვის.

პლენუმზე, 21 ივნისს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისაგან მოვითხოვეთ **„გაგზავნილიყო ღია საპროტესტო წერილი სსრკ პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისადმი, რომელშიც კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნებოდა სსრ კავშირის ხელმძღვანელობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანტიდემოკრატიული, რეაქციული მოქმედების შედეგები, რომლებიც უკვე მძიმედ გამოისახა საქართველოში ერთაშორის შუღლის გაღვივებასა და ეკონომიკური ბლოკადის სახით".** (იხ. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 23 ივნისი, 1991 წ.)

ასეთ დროს გაზეთ „ცხოვრებას" აეკრძალა დეპუტატთა ჯგუფის მიერ მომზადებული პლენუმის დადგენილების პროექტის გამოქვეყნება. იძულებული გავხდით მივვმართა სხვა რედაქციებისათვის. მასალა გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 23 ივლისის ნომერში. გაზეთმა „ცხოვრებამ" მხოლოდ ამის შემდგომ გამოაქვეყნა ჩვენი საპროტესტო წერილი.

ჩვენი საერთო პოზიცია დავადასტურეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 10 აგვისტოს, სადაც „პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ" კანონის განხილვისას კატეგორიულად უარვყავით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის პოზიცია, რომელიც მისაღებად თვლიდა პარტიის პოლიტიკური ცენტრის რესპუბლიკის გარეთ არსებობას (!)...

პრესის საშუალებით ჩვენ მოვუწოდეთ პარტიაში არსებულ დემოკრატიულ ძალებს ეროვნულ პლატფორმაზე გაერთიანებისაკენ. მიგვაჩნდა, **„ეს საფუძველი გახდებოდა იმისა, რომ საბოლოოდ გვეთქვა უარი კონსერვატიზმისათვის და ამოგვეძირკვა პარტიაში ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი რეაქციული განწყობილება, რომ პარტია განთავისუფლებულიყო კონსერვატორებისა და რეაქციონერებისაგან".** (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 23 ივლისი, 1991 წ.)

სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ შევძელით. კონსერვატორებმა და რეაქციულად განწყობილმა პიროვნებებმა კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელით მთელი საქართველოს სამარცხვენელო განცხადება გააკეთეს პუტჩის დღეებში, რომელიც ჩვენს მიერ მეორე დღესვე კატეგორიულად დაიგმო ტელევიზიითა და გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული განცხადებით, სადაც მთავარ მოთხოვნად დავაყენეთ საკითხი პარტიის თვითლიკვიდაციის თაობაზე, რასაც მხარი დაუჭირა ცეკას აპარატის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა.

**ჩვენ მაინც არ ვიხსნით პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (28 ივლისი) გამოსვლის შემდგომ საბოლოოდ გავემიჯნეთ სკკპ-ს და არ ვთვლით თავს პარტიის წევრად.**

დღეს, უფლებააყრილი დეპუტატების წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, ძნელი არ არის, მით უფრო, როცა არა ერთი და ორი ამ ბრძოლაში პრეზიდენტისადმი ერთგულების დამტკიცებას დაინახავს.

დრო ყველასა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ყოფილი კომპარტიიდან თითოეული დეპუტატისათვის მთავარი უნდა იყოს არა დეპუტატობის შენარჩუნება, არამედ ეროვნული, მოქალაქეობრივი, კაცური პოზიცია, ისეთი, როგორიც შეესაბამება დღევანდელ სიტუაციას და საქართველოს მდგომარეობას...

**თეიმურაზ ზაზიაშვილი, ბონდო ქავთარაძე, სანდრო კაშაკაძე, როდენ მეშარნიშვილი, ვაჟა ქეშელავა, ნინო ჯაბახიშვილი, გურამ ზაქაიძე, ავთანდილ მარგიანი, ლეო ჩიქავა, გრიგოლ მარგიანი.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს ბატონ თამაზ დიასამიძეს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის 26 აგვისტოს სხდომაზე თქვენ გააკრიტიკეთ გაზეთი „აჭარა" იმის გამო, რომ მანი გამოაქვეყნა პუტჩის სტატია, საგანგებო კომიტეტის განცხადებები. საწინააღმდეგო, დადებით მაგალითად თქვენ დაასახელეთ გაზეთები — „თბილისი" და „ახალგაზრდა ივერიელი". ამისათვის გმადლობთ, მაგრამ თქვენი ერთი არაზუსტი განცხადების გამო ჩვენ და თითქმის მთლიანად რესპუბლიკური პრესა უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. გაგახსენებთ თქვენი ნათქვამის შინაარსს: გაზეთებს საგანგებო კომიტეტის საწინააღმდეგო არაფერი დაუბეჭდავთ, საკუთარი კომენტარები არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ ისიც კარგია, რომ დუმილი ამჯობინეს. ჩვენი გაზეთის შესახებ მოგახსენებთ (და ის გარკვეულად [illegible] ეხება), ცოტათი რომ [illegible] გაზეთების გამოშვების ტექნოლოგიაში, შესაძლოა მსგავსი ბრალდება (ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ბრალდებაა) აღარ წამოგეყენებინათ. გაიხსენეთ, პუტჩი 19 აგვისტოს მოხდა. ცნობა მის შესახებ ოფიციალური არხებით დღის მეორე ნახევარში იქნა მიღებული. გამომცემლობაში არსებული წესების მიხედვით (რომელიც ჩვენი უბადრუკი ტექნიკური ბაზის გამოა შემოღებული) რედაქციას ამ დროისათვის პრაქტიკულად არავითარი ცვლილების შეტანა არ შეუძლია უკვე აწყობილ გაზეთში, მაგრამ მან მაინც მოახერხა ეს, დაშალა გაზეთი და შესძლო მკითხველისთვის ეცნობებინა პუტჩის შესახებ, და რაც მთავარია, დაებეჭდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა.

ყველაფერი ეს რედაქციამ ოპერატიულად, დიდი ტექნიკური სირთულის გადალახვით შესძლო. თქვენ ეს ორი პუბლიკაცია — ინფორმაცია და მიმართვა ორ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებულად წარმოადგინეთ. ეს კი თუნდაც იმ უბრალო მიზეზითაც ვერ მოხერხდებოდა, რომ ქაღალდის დეფიციტის გამო კვირაში „ახალგაზრდა ივერიელი" მხოლოდ 2 ნომერი გამოდის და ისიც მცირე მოცულობის. მორიგი ნომერი მხოლოდ შაბათს, 24 აგვისტოს გამოვიდა. მასში კი, ვფიქრობთ, იყო ყველაფერი, — რაც მთავარია, რედაქციის პრინციპული მოსაზრება. ამდენად, „ახალგაზრდა ივერიელის" ჟურნალისტებმა ბოლომდე მოიხადეს თავისი ჟურნალისტური და მოქალაქეობრივი ვალი. ამაში პირადად ჩემი დამსახურება არ იყო, რამდენადაც შვებულებაში ყოფნის გამო, 19 აგვისტოს ქალაქში არ გახლდით.

რაც შეეხება სათანადო ოპერატიულ კომენტარებს და პოზიციის გამოხატვას, გეკითხებით — რამდენად გონივრული იქნებოდა 19-ში, შუადღისას (გაზეთის მომზადების დროს), ფაქტობრივად სრული ინფორმაციის უქონლობის პირობებში, გაკვეთებინა ნაჩქარევი, მოუფიქრებელი, გაუაზრებელი დასკვნები? თავშეკავების მაგალითი იმ დღეებში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მოგვცა.

ამდენად, როცა ვეფასებთ სხვის მუშაობას, უფრო მეტი პასუხისმგებლობა და დაკვირვება გვმართებს.

**მერაბ ბალარჯიშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...იგრძნობა საქართველოს სუნთქვა



[illegible]

თბილისში, თამარ მეფის გამზირზე მდებარე ერთი სახლის მყუდრო ბინაში პირველად რომ მოხვდებით, უნებლიედ მოწიწება დაგეუფლებათ. კედლებიდან ლეგენდარული ადამიანების — ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების ნათელი სახეები შემოგეგებებათ. კედლების გასწვრივ, თაროები ჭერამდე წიგნებითაა სავსე. ზოგ ბიბლიოთეკასაც შეშურდება ის წესრიგი, აქ რომ სუფევს. ხელნაწერებს, დოკუმენტებს, გაზეთებს, რელიქვიებს, — ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ამ მყუდრო ოთახში ქართული ალპინიზმის მთელი ისტორიაა თავმოყრილი. მას წლების მანძილზე სათუთად აგროვებდა ჩემი მეგობარი, ჯაფარიძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვანო ჯაფარიძე. როდესაც გაიგო, ბატონ ლევან გოთუაზე მასალებს ვაგროვებდი — ერთი ბარათი გადმომცა, რომელიც 1960 წლითაა დათარიღებული. იგი თელაველ პედაგოგს თამარ გოგიაშვილს (ამჟამად ქალბატონი თამარი თელავის პედინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტია.—რედ.) გამოუგზავნია ალექსანდრა ჯაფარიძისათვის. ეს გახლავთ უფროსი მეგობრისადმი გაგზავნილი გულწრფელი, ერთგვარად ინტიმური ბარათი, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან მასში კარგად ჩანს მკითხველის აღტაცებული დამოკიდებულება „გმირთა ვარამისა“ და მისი ავტორისადმი, რაც, სხვათაშორის, მთელ საქართველოში იგრძნობოდა სამოციან წლებში...

გთავაზობთ ამ ბარათს მცირედი შემოკლებით.

**„ქ-ნო ალექსანდრა! ვზივარ და ცივ ტილოებს ვიდებ, ფეხი გამისხლტა და დავეცი. რა გამაძლებინებდა, რომ გოთუას „გმირთა ვარამი“ არ „დაბადებულიყო“, გატაცებით ვკითხულობ. მე-8 ნაწილმა მოლოდინს გადააჭარბა.**

**ვფიქრობ, ხად გაიზარდა, ვინ შთააგონა ბედდავსილი კახელების უზომო სიყვარული. მეც, როგორც ერთი კახელთაგანი, დავალებული ვარ. შერე და როგორი სიყვარულით.**

**ბატონი ლევანი წერის მანერაში ძლიერ ამჟღავნებს თავის პიროვნებას, რაღაც აქვს ამ კაცს ხელმიუკარებელი, ფანატიკური, ძლიერი. მის ნაწერებში იგრძნობა ხავსის სურნელება.**

**მერე და იცის, რომ მისი კეთილი სიბრძნით ნაშუქ კაცურ-კაცობას, მანდილთ სიბრძნეს, გულშეტაცებულ სიყვარულს სამშობლოსადმი მალე მკითხველი აღარ ეყოლება? ყველა ამას შთანთქავს რუსული „Прелесть“ და ფუტკარივით შემოსეული ევროპული კინოსურათები — ეს უკანასკნელი უფრო იტაცებს ახალგაზრდობას.**

**ქ-ნო ალექსანდრა! არ მოგწონთ თქვენდამი მომართვა: „ქართული ალამი და მანდილი“? (უთქვენოდ წავიკითხე წარწერა წიგნზე ავტორისა). ამ სიტყვების სიძველე და სიწმინდე თითქოს პირველად შევიგრძენი. „ქართულია, კარგია“. (ქალბატონ თამარს მხედველობაში აქვს ავტორის წარწერა ა. ჯაფარიძისადმი მიძღვნილი „გმირთა ვარამის“ მეხამე წიგნზე: „ალექსანდრა ჯაფარიძეს, ქართული მთამსვლელობის მანდილსა და ალამს, ალიოშას დას, მწვერვალების მესაიდუმლეს, დიდი პატივისცემითა და მოწიწებით, ავტორისაგან, 26. 12. 59. წ.“ ჯ. ჯ.).**

**ჩემს ცხოვრებაში არაფერია საინტერესო, ბევრი რამ დამჩემდა: ვაპურებ მტრედებს, აღტაცებით ვუმზერ ჩემს სახელობაზე მოკლულ დათვის ტყავს, უზარმაზარია და ფორეჯებიანი; უგემურად ვკვიმატობ, სტუდენტების გადაცემულ გაკვეთილებზე გულს ვაყოლებ, ხან ბრაზიანად ვიღუშები, მაგრამ თითო გახახარელი არ დამელევა. ერთმა 66 წლის მასწავლებელმა მიჩვენა სათუთად შედგენილი ჰერბარიუმი. უნებურად აღმომხდა: „უვავილი დედაა სიცოცხლის!“ ჩვენი ლაშქრობაც გამახსენდა. კუს ისტორიაა — „მეც ნახირ-ნახირო“.**

**ჩემი და მიკიონებს: საზღვარგარეთ იმოგზაურო. მე ხომ ვარძია არ მინახავს. ავად რომ ვიყავი, ხალხს ვაცინებდი, ღმერთმა ვარძიის უნახავად არ მიმიღო-მეთქი. ჩემი ძმა იქ ახლოს დაიღუპა. მიპირს მხიარულ მეგობრებთან ერთად მანქანით გასეირნება ვარძიაში. ფეხით კი ვინ გამომყვება...**

**ქ-ნო ალექსანდრა! მე აქ ძალიან ბევრ რამეს ვარ მოკლებული, უპირველესად ყოვლისა, სიახლეს. ძირითადი კი კინალამ დამავიწყდა...**

**გოთუას აქვს ნოველა „სიბრძნე სიკვდილისა“. თუ ძალიან ახლოს გრძნობთ თავს, თხოვეთ დაწეროს „მარტოთა სიბრძნე“, არ გაგეცინოთ. ეს უცხო არ იქნება მისთვის, მაგრამ დაწერა კი გაუჭირდება.**

**ნატვრად წერს, დიდი ჰქონია ქართველებისადმი გულმხურვალება და სიყვარული.**

**ქ-ნო ალექსანდრა, თუ არ ვცდები, თქვენი ძმა „რჩეულ ნაწერებში“ არაფერს ამბობს ლევან გოთუას მთამსვლელობის შესახებ. რატომ? (ალიოშა ჯაფარიძის „რჩეული ნაწერები“, 1949 წელს გამოსცა „სახელგამმა“ დავით დონდუას რედაქციით. იმ დროს ლევან გოთუა უკვე მესამედ იყო გადასახლებული შორეულ ჩრდილოეთში, რის გამოც მის გვარს ტაბუ ედო. ამიტომ ცხადია, გამომცემლობა იძულებული იქნებოდა ნაწერებიდან ამოეღო ალიოშა ჯაფარიძის თოკის მეწყვილისა და ერთგული მეგობრის გვარი. ჯ. ჯ.).**

**წერა ვერ მომიკლავს თქვენი ნახვის წყურვილს. პატივისცემითა და სიყვარულით მოგიკითხავთ ქ-ნი ივდიტორა და ყველა ჩემი ახლობლები.**

**გკოცნით თამრიკო.**

**28/III—1960 წ.“.**

პუბლიკაცია მოამზადა
**ჯუმბერ ჯიშკარიანმა**

[illegible]

# „ორიონის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ

ვღებულობთ ბევრ წერილს, ბევრიც ტელეფონით გვიკავშირდება. წერილები მიდის გაზეთების რედაქციებშიც. ყველა ითხოვს ჩვენს მიერ შეთავაზებულ ნაწარმოებებზე ხელმოწერის გაფორმებას. ჯერჯერობით ეს ნაწარმოებებია:

I. ქართული მწერლობიდან:

1. მ. ჯავახიშვილი, თხზულებათა სრული კრებული 8 ტომად, რომლის ყველა წიგნს დართული აქვს მწერლის ფოტოპორტრეტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და შეიცავს 2 ტომ გამოუქვეყნებელ მხატვრულ, პუბლიცისტურ, მემუარულ ნაწარმოებებს. ეს საიუბილეო გამოცემაა და პირველი 2 ტომი გამოვა 1992 წლის სექტემბრისათვის. 2 ა. გელოვანი, მარად ცოცხალი ხელოვნება“, ახალი შევსებული და შესწორებული გამოცემა. 3. ნ. ბერიული, „ვის უხმობს ზარი“. 4. ილუსტრირებული ბიბლია. 5. სიყვარულის წიგნი — 2.

II. უცხოური მწერლობიდან:

1. ჯ. სტაინბეკის ნობელის პრემირებული რომანი „მრისხანების მტევნები“. 2. ჰ. მელვილის „მობი დიკი“, 3. ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო“!. 4. ბ. პრუსტის „ფარაონი“. „კოლხ მედეადან თანამედროვე საქართველომდე“. დ. კარნეგი, „როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება“.

III. ხალხური სიტყვიერებიდან:

1. მსოფლიოს ხალხთა რჩეული ზღაპრები, მითები, თქმულებები — „იყო და არა იყო რა“ (რუსუდან ფეტვიაშვილისა და სხვა გამოჩენილ მხატვართა ფერადი და შავ-თეთრი ნახატებით მდიდრულად ილუსტრირებული) 20 ტომად, 2. რჩეული ლექსები და ბალადები. 3. მსოფლიოს ხალხთა ილუსტრირებული ანეკდოტები.

IV. საყოფაცხოვრებო ლიტერატურიდან:

„უნივერსალური საოჯახო წიგნი“, მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის ძველებურსა და თანამედროვე რჩეულ რეცეპტებს, მსოფლიოს ხალხთა საჭმელების მომზადების ორიათასამდე რჩეულ რეცეპტს, მეცნიერულად დასაბუთებული კვებისა და რეჟიმის საფუძველზე სიცოცხლის გახანგრძლივების წესებს და სხვა. ამ წიგნის მომზადება გრძელდება. 2. პ. ბრეგი, „შიმშილობის სასწაული“. 3. „იოგთა ვარჯიშები“. 4. საქართველოს ბუნების „სამკურნალო მცენარეები“. 5. „თერაპიული ცნობარი“. 6. „ვინ ვარ მე?“

ზოგი ხელმომწერი ჩვენს რეკლამაში ვერ გაერკვა. შევეცდებით უფრო გასაგებად გადმოვცეთ: ვისაც სურვილი აქვს ჩვენს მიერ შემოთავაზებული ყველა ნაწარმოების შეძენისა, ავანსად შემოაქვს 20 მან. (ძალიან იაფია, არა? სამაგიეროდ ჩვენ ყველა წიგნზე ცალკ-ცალკე აბონემენტების ბეჭდვა და გავრცელება აღარ გვჭირდება, ეს კი ჩვენთვის შეღავათია, ამიტომ ჩვენც შეღავათს ვუწევთ ხელმომწერებს).

ზემოხსენებული პროსპექტიდან შეიძლება ცალკე გამოიწეროთ „მსოფლიოს ხალხთა რჩეული სიტყვიერება“ (ავანსი 25 მან.) და მ. ჯავახიშვილის თხზულებათა სრული კრებული (ავანსი 16 მან.). ესე იგი, ჩვენ გვაქვს ერთიანი ხელმოწერა ყველა შემოთავაზებულ ნაწარმოებზე (ავანსი 20 მან.) და ცალ-ცალკე „მსოფლიოს ხალხთა რჩეულ სიტყვიერებაზე (ავანსი 25 მან). და მ. ჯავახიშვილის თხზულებათა სრულ კრებულზე (ავანსი 16 მან). ვფიქრობთ, ახლა მაინც ნათელია ყველაფერი.

ჩვენს ხელმომწერებს და ხელმოწერის მსურველებს აგრეთვე ვაცნობებთ: რადგან შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მიწისძვრისაგან დანგრეული ჯრუჭის მონასტრის (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 107, 91 წ.) აღდგენას და სხვა საქველმოქმედო საქმეებს, ამასთანავე, ვითვალისწინებთ ჩვენი გამოცემებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს, დაპირებისამებრ, ტირაჟი გაზრდილია და ხელმოწერა გაგრძელდება.

ამჟამად დასაბეჭდად გადაცემულია: რჩეული ხალხური ლიტერატურის ტ. I, II (ქართული მონაკვეთი); მ. ჯავახიშვილის ტ. I, II; „მსოფლიოს ხალხთა ანეკდოტები“; პ. ბრეგი, „შიმშილობის სასწაული“ და „იოგთა ვარჯიშები“.

დამატებითი ხელმოწერა მიიღება მხოლოდ კოლექტიურად (თბილისი, ხიდის ქ. № 1, III სართული, ტელ. 98-23-47), 2-დან 5 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. წინასწარ დარეკეთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება „ორიონის“ გამგეობა.**

# ყურადღება!

**საქართველოს** ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განაახლებს თავის ყოველკვირეულ მიტინგებს ორშაბათობით 1991 წლის 2 სექტემბრიდან.

ყველას, ვისთვისაც ძვირფასია დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის იდეალები, ვინც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალზე გულწრფელად ფიქრობს, ველით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეულ მიტინგებზე.

პირველი მიტინგი, რომელიც 2 სექტემბერს გაიმართება, მთლიანად დაეთმობა საბჭოთა იმპერიაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს, მოსკოვში მომხდარ გადატრიალებას: პოლიტიკური შეფასება მიეცემა ამ „თერმიდორიანულ“ გადატრიალებას.

ეროვნულ-დემოკრატთა პირველი მიტინგი გაიმართება 2 სექტემბერს ორშაბათს, საღამოს ექვს საათზე, კინოს სახლთან.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი.**

# გახსენება

## მარინა ურუშაძე



**დღეს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. შენ ხომ მხოლოდ 21 წელი უნდა შეგსრულებოდა. შევდიოდით შენს საყვარელ ოთახში, იქ კი სევდასა და ტკივილს დაუსადგურებია, შენ კი მხოლოდ სურათებიდან შემოგვცქერი იხეთი ლამაზი და მომღიმარი და თითქოს გვეუბნება: მე ისევ თქვენთან ვარ. ვაი, რომ ჩვენთან აღარა ხარ, ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო კეთილო გოგონავ.**

**ხშირად ამბობდი, ბედნიერი ვარ მარიამობის თვეში დავიბადეო. 28 აგვისტოს მარიამობა იყო. ამ დღეს წმინდა სანთლებს ანთებდი ხოლმე ეკლესიაში, ახლა კი შენს მაგივრად ჩვენ დავანთეთ, შენმა მეგობრებმა. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს უშენოდ... გვიჭირს შეხვედრა შენს მშობლებთან, ან კი როგორ უნდა შევხედოთ, რით ვანუგეშოთ დედისერთას მშობლები.**

**გვიყვარხარ და ძალიან გვენატრები. ვერც შენთან სიშორე გაანელებს ჩვენს სიყვარულს შენდამი. შენ ხომ უმალ გზა გულის სიღრმისაკენ გაკვალე, თითქოს იქ სამუდამო ბინა მოძებნე და აქ დაიბუდე კიდეც... წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე ტკივილი...**

**მეგობრები**

## დათო ჩხარტიშვილი

**როგორ ჩქარა გარბის დრო. 31 აგვისტოც მოვიდა, სრულდება 40 დღე შენი გარდაცვალებიდან. აღარ ისმის შენი ომახიანი ხმა.**

**დაგვტოვე გაუბედურებული შენიანები: დედა, დები, ყველა შენი მოსიყვარულე ნათესავები და ახლობლები, მხოლოდ შენს პატარა, 4 წლის ქეთინოს ჯერ არ ესმის არაფერი.**

**შენ ხომ იმ ქართველ ვაჟკაცთაგანი იყავი, რომელსაც უზომოდ გაახარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. გახსოვს, როგორ ხუმრობდი ხოლმე, პეტრე ბაბუას საფლავში უნდა ჩავძახო, რომ ასრულდა მისი ოცნებაო და იმ ქვეყნების მონაბულებას აპირებდი, სადაც მას 8 წელი ჰქონდა გატარებული. ვაი, რომ ჩაძახება აღარ დაგჭირდა და თვითონ უამბობ პირადად ყოველივეს, რაც საქართველოში მოხდა. შენ ახლა ყველას ნახავ, შენს უსაყვარლეს ბაბუკას, ბებიას და ბაბუას, შენთვის უცნობ ბიძას და მამიდას, რომელთაც მხოლოდ გადმოცემით იცნობდი...**

**ოლღა ძიმისტარიშვილი**

**გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია თანაუგრძნობს ამავე გაზეთის კორესპონდენტს მაია ჭილაყაძეს ბიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


## განცხადება

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახადს გადაიხდიან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის მართვა.

საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.**

ტელეფონი: **68-39-30.**

## მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიზოდის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნული ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური
საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება.
კოოპერატივი „დასტაქარი“
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე,
დასვენების დღე კვირა.
ტელ. 39-57-63.

## მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

**საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“ უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერატიული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.**

**ჩვენი მისამართია: 380007, თბილისი, ლერმონტოვის 18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“.**

**ტელ: 99-02-76, 93-99-70 12 საათიდან 17 საათამდე.**

ტურისტული მოგზაურობები საგზოთა მანეთებში

## ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

1. უაღრესად პრესტიჟულ მოგზაურობას **შვეციაში** მარშრუტით: **თბილისი-ლენინგრადი-სტოკჰოლმი-ლენინგრადი-თბილისი.** საგზურის ღირებულებაში შედის ოთხი დღის განმავლობაში სტოკჰოლმის უმაღლესი კლასის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება, სამჯერადი კვება ბრწყინვალე რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება, 300 კრონის (დაახლოებით 50 დოლარის) გადახურდავება; აგრეთვე ორი დღის განმავლობაში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება ლენინგრადში და თვითმფრინავით მგზავრობა ლენინგრადამდე და უკან.

საგზურის ღირებულებაა 6500 მანეთი.

ჯგუფები კომპლექტდება 3 და 17 ოქტომბრისათვის.

2. საზღვაო.მოგზაურობას **გერმანიაში** კომფორტული თბომავლით **„ანა კარენინა“.**

მარშრუტი: **ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი.**

კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება.

საგზურის ღირებულება კაიუტების კატეგორიების მიხედვით 4000-6500 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები მთელი მოგზაურობის განმავლობაში. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მანქანების ყიდვისა.

ჯგუფები კომპლექტდება 20, 27 სექტემბრისათვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ. №3 (სასტუმრო საქართველოსთან). მიღების საათები: 11-18 მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ: 23-15-58.

## ყურადღება

**ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“ დაგეგმილი აქვს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მუდმივი წარმომადგენლობების გახსნა. ნებისმიერ კოოპერატივს ან მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბინა ან სხვა რაიმე ფართი ტელეფონით ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში და სხვა ქალაქებში, შეუძლიათ გახდნენ საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენლები.**

**ამისათვის საჭიროა: ამა წლის 10 სექტემბრამდე ფირმის სახელზე წარმოადგინონ: განცხადება (მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის სურვილის თაობაზე), კერძო პირთათვის — ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან ტელეფონის ნომრის მითითებით; იურიდიულ პირთათვის — ცნობა იმის თაობაზე, რომ მას გააჩნია იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი.**

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად დარეკეთ: 37-58-25 ან მობრძანდით მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1. დასაშვებია ერთ ქალაქში რამდენიმე წარმომადგენლობის გახსნა.

**ფირმა „არგო“-ს დირექცია**

## რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების გამოსაქვეყნებლად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო “არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. 1

ტელეფონი: 37.06.64 ან 37.58.25 (11.00 სთ-დან 17..00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა (“ვცვლი ბინას“, “გვესაჭიროება“, “ვყიდი“, “ვყიდულობ“, “ვასწავლი“, “ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

იყიდება იაპონური წარმოების ასლების გადასაღები მანქანა „რიკონი FT5560“ სახარჯავი მასალით 800000 კოპიოზე.

იყიდება აგრეთვე რემკომპლექტი „რენკქსეროქსის“ 1025\1038 მარკის რემკომპლექტი.

ცნობისათვის დარეკეთ
96-14-39
7 საათის შემდეგ.

## განცხადება

ვცვლი ოთხოთახ ნი ჩეხური პროექტით ნაშენ კოოპერატიულ ბინას, მდებარეს მუხიანში დუმბაძის გამზირზე, სამ და ერთ ოთახიან ბინებზე.

მისამართი: მუხიანი III მკრ, კორპ. I, ბინა 76.

**იყიდება 1 ცალი ახალი „კამაზ-5410“-ის მარკის ავტომანქანა.**

**მსურველებმა დარეკეთ ტელეფონით: 74-44-73.**



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგერია

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ბოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.